

ეფექტური და გამჭირვალე ფინანსური ანგარიშგება სასარგებლოა ბიზნესისთვის

არსებულ ეკონომიკურ გარემოში ევროპის ბევრ ქვეყანას ორმაგ გამოწვევასთან უწევს გამკლავება. ერთის მხრივ, მათ მყიფე მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკის ზრდის სტიმულირება უხდებათ და ამავე დროს, ფისკალური დისციპლინის გამყარებაც უწევთ. დროში გაწელილმა ეკონომიკურმა ვარდნამ და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ნელმა ზრდამ გრძელვადიანი ზეგავლენა მოახდინა არა მხოლოდ დასაქმებაზე, არამედ რეგიონში არსებულ კონკურენტუნარიანობაზე და ბიზნესის განვითარებაზე. როგორც დიდი, ასევე მცირე ბიზნესები კრედიტის მიღებისთვის და კაპიტალის გაზრდისთვის იბრძვიან იმ დროს, როდესაც ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები ინვესტიციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას გაცილებით უფრო დიდ სიფრთხილეს იჩენენ. აქედან გამომდინარე, ამ გარემოში ბიზნესებისთვის ფინანსური გამჭირვალეობის მიღწევა, ხოლო მთავრობებისთვის კი კორპორატიული ფინანსური ანგარიშგების ხელშესაწყობად ჯანსაღი მარეგულირებელი გარემოს შექმნა სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში ინვესტიცია კიდევ უფრო ეფექტურად უნდა იყოს მიმართული რათა უფრო მეტი შემოსავლის მიღება იყოს შესაძლებელი. ფინანსურ გამჭირვალეობას ბიზნესებისთვის ამგვარი ინვესტიციების მოზიდვაში დახმარების გაწევა შეუძლია, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის, რომლებსაც ხშირად არ გააჩნიათ ის ფინანსური გარანტიები/გირაო, რომლებსაც ბანკები ჩვეულებრივ ითხოვენ ხოლმე. კარგი პერსპექტივების და ეფექტური ფინანსური ანგარიშგების მქონე ბიზნესებს, რომლებსაც ბანკებში გარანტიის წარდგენის საშუალება არ გააჩნიათ, კრედიტის მიღების უფრო მეტი შანსი აქვთ რადგან ბანკებს უფრო მეტი ინფორმაცია ექნებათ, რომლის საფუძველზეც ისინი სესხების გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას შეძლებენ, გარდა ამისა ეს დიდი ოდენობით გირაოს ჩადების საჭიროებასაც მოხსნის. აქედან გამომდინარე ინვესტიციებისთვის და ბიზნესის კეთებისთვის მნიშვნელოვანია რომ ქვეყნებს კორპორატიული ანგარიშგების ეფექტური სისტემები გააჩნდეთ.

კორპორატიული ფინანსური გამჭირვალეობა ასევე ეროვნულ საზღვრებს უნდა სცილდებოდეს. როგორც ეს ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა, სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკები ერთმანეთთან სულ უფრო მეტად დაკავშირებული და ერთმანეთზე სულ უფრო მეტად დამოკიდებული გახდა, რასაც სულ უფრო მნიშვნელოვანი რეგიონული წარმოების ქსელები და რეგიონების შიგნით ვაჭრობის სულ უფრო მზარდი მაჩვენებლები მოჰყვა. მაგალითად აღმოსავლეთ ევროპაში და ევრაზიის რეგიონში მდებარე ბევრი ქვეყანა ევროკავშირთან უფრო ახლო ეკონომიკური კავშირების დამყარებისთვის იბრძვის, მათ მიზანს დასავლეთ ევროპის ბაზრებზე და ქსელებზე წვდომით უფრო მეტი სარგებლის მიღება წარმოადგენს.

სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა - ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის მონაწილე ექვსი ქვეყანა, იმ სახელმწიფოთა რიგს

განეკუთვნებიან, რომლებიც ევროკავშირთან ეკონომიკური კავშირების განვითარებაზე მუშაობს. ამ კავშირებისგან მაქსიმალური სარგებლის მისაღებად აღნიშნულმა ექვსმა ქვეყანამ კორპორატიული ფინანსური ანგარიშგების იმ საერთო ჩარჩოს მიღებაზე უნდა იმუშაონ, რომელიც ევროკავშირის კანონების და რეგულაციების სისტემის ანუ ე.წ. *acquis communautaire*-ის ნაწილია. 1990-იან წლებში საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით წამოწყებული მნიშვნელოვანი რეფორმების შედეგად აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე ქვეყნებმა გარკვეულ წინსვლას მიაღწიეს ზემოდაღნიშნული მიზნის მიღწევის გზაზე, თუმცა წინ კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი.

2004 წლიდან მსოფლიო ბანკი აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე ქვეყნების საბუღალტრო და აუდიტის სტანდარტების მიმოხილვას ახდენს, რომლის მიზანს ხელისუფლებებისთვის და ძირითადი დაინტერესებული მხარეებისთვის პოლიტიკასთან დაკავშირებული წინადადებების მომზადებაში დახმარების გაწევა წარმოადგენს, რათა ამ ქვეყნებში კორპორატიულ ანგარიშგებასთან დაკავშირებული ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესება იქნას მიღწეული. მართალია აღსანიშნავია ამ ქვეყნების მიერ საბუღალტრო პროფესიის განვითარების გზაზე მიღწეული წინსვლა, მაგრამ ისინი ადეკვატური ინსტიტუციონალური ჩარჩოების ჩამოყალიბების და მყარი ფინანსური ანგარიშგების პრაქტიკის შესანარჩუნებლად საკმარისი შესაძლებლობების შექმნის კუთხით კვლავ გამოწვევების წინაშე დგანან.

აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე ქვეყნებში აუდიტის და ანგარიშგების გაუმჯობესების პროგრამა (STAREP) მსოფლიო ბანკის ახალი წამოწყებაა, რომლის მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნებისთვის ამ მხრივ დახმარების გაწევა. ამ პროგრამით აღნიშნულ ქვეყნებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ეფექტური და მდგრადი ჩარჩოების შექმნაში გაეწევა დახმარება, გარდა ამისა ამ პროგრამის მეშვეობით აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე ქვეყნები ევროკავშირის კანონების და რეგულაციების სისტემის მოთხოვნების გათვალისწინებას შეძლებენ. STAREP-ი სხვადასხვა სახის დაინტერესებულ მხარეებს უწევს დახმარებას, მათ შორის ფინანსთა სამინისტროებს, ბუღალტრებს, ფინანსური სფეროს მარეგულირებელ ორგანოებს და ბუღალტერიის ლექტორებს და მასწავლებლებს უნივერსიტეტებში. პროგრამა საბუღალტრო განათლების სისტემების გაუმჯობესებაზე, კორპორატიული ფინანსური ანგარიშგების ინსტიტუციონალური ჩარჩოების გაუმჯობესებაზე, ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი სტანდარტების შემოღების ხელშეწყობაზე და ძირითად ინსტიტუტებს შორის უფრო მჭიდრო საერთაშორისო კავშირების დამყარებაზე და მათ შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებაზე ამახვილებს ყურადღებას.

STAREP-ი ერთმანეთისგან სწავლის მოდელზეა დაფუძნებული, ის აერთიანებს პოლიტიკის გამტარებლებს და პროფესიონალური განათლების პრაქტიკოსებს, კორპორატიულ ფინანსურ ანგარიშგებას და ფინანსურ რეგულაციებს რათა მონაწილე ქვეყნებს ერთმანეთის

რეფორმების გამოცდილების გაზიარების და პოტენციური სირთულეების თავიდან აცილების შესაძლებლობა ჰქონდეთ.

ვენაში მდებარე მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმების ცენტრი (CFRR) პასუხისმგებელია მსოფლიო ბანკის კორპორატიულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საქმიანობებზე მთელი ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის მასშტაბით. აღნიშნული ცენტრი დაინტერესებულ მხარეებს საგანმანათლებლო მომსახურებას და შესაძლებლობების გაზრდის მხრივ დახმარებას სთავაზობს. მომსახურებაში შედის ანალიტიკური და საკონსულტაციო მომსახურება, ცოდნის და უნარ-ჩვევების განვითარება, „ნოუ-ჰაუ“ და ცოდნის გადაცემა, ტექნიკური დახმარება და ინსტიტუციონალური გაძლიერება.